



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 222

ქალაქი ქუთაისი      18      დეკემბერი      2015 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N116 განკარგულებაში, კერძოდ, საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს N564-N565 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და  
 სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
564	მიწის ნაკვეთი	ავტომშენებლის ქუჩა N86ა-ს აღმოსავლეთით	6944.0	03.01.21.438	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
565	ჯართი	9 აპრილის ქუჩა N2-ში მდებარე ტერიტორიაზე განთავსებული მოძრავი ქონება, ექსპლოატაციაში ნამყოფი შავი ლითონის ჯართი		შავი ლითონის ჯართი- 1 კვ.	0.2 ლარი	აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, შექმნილი ქონების წონის დადგენა და სხვა ღონისძიებები განახორციელოს საკუთარი სახსრებით	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი